საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1688 2016 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“ და დსს „აზერბაიჯანის რკინიგზას“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმებათა პროექტების მოწონების თაობაზე

„უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოწონებულ იქნეს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“ და დსს „აზერბაიჯანის რკინიგზას“ შორის გაფორმებულ 2009 წლის 9 დეკემბრის №85, 2011 წლის 15 ივლისის №87 და №88, 2011 წლის 29 სექტემბრის №136 და 2011 წლის 13 დეკემბრის №182 ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ გასაფორმებელი შეთანხმებათა პროექტები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**